# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

## №1

ქ. ქუთაისი 22 მარტი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| ამირან ძოწენიძე | – ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე. |
| ანდრო მაღლაკელიძე | –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი. |
| ვასილ მებურიშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| ირაკლი გიორგაძე | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი. |

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრმა ანდრო მაღლაკელიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – ამირან ძოწენიძე.
კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 27 მარტს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 27 მარტის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

**საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:** **ამირან მოწენიძე**

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე